საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი

მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი, უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება. შეიქმნა 1941. იგი არის უძველესი ქართ. აკადემიების (გელათი და იყალთო) მემკვიდრე, სახელმწ. განვითარების მაღალი დონის ინტელექტუალური ატრიბუტი, საქართვ. მთავრობის მრჩეველი, საერთაშ. მნიშვნელობის სამეცნ. მიღწევების, სამეცნ. და სამოქალაქო ავტორიტეტის მქონე პირთა გაერთიანება.

საქართველოში სამეცნ. და შემოქმედებითი აზრის განვითარებას მდიდარი წარსული აქვს; ფაზისის (ახლანდ. ფოთი) მახლობლად ძვ. წ. III-IV სს-ში არსებობდა კოლხეთის რიტორიკული სკოლა (აკადემია). ქართულ საგანმან. და სამეცნ. მოღვაწეობის ცენტრებში (საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ) იქმნებოდა თარგმნითი და ორიგინალური ლიტ-რა. უცხოეთში არსებულ მონასტრებში – სინას მთაზე (VI ს.), პალესტინაში (V ს.), ანტიოქიის მახლობლად შავ მთაზე (XI ს.), ათონზე (980-83) და პეტრიწონში (1083) მოღვაწეობდნენ ქართვ. მეცნიერები – პეტრე იბერი, იოანე სინელი, ილარიონ ქართველი, იოანე მინჩხი, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და მრავალი სხვა, რ-ებიც ეცნობოდნენ იმდროინდელ მოწინავე ქრისტ. და აღმ. კულტურას, მეცნიერებასა და მწერლობას, ავითარებდნენ და ამდიდრებდნენ საღვთისმეტყველო და ფილოს. ეროვნ. კულტურულ მემკვიდრეობას. ამ პერიოდის შემოქმედებითი გენიის თვალსაჩინო ნიმუშია შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. მათი შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილი მდიდარი ლიტ-რა დამაჯერებლად მოწმობს ქართ. ფილოს. და მეცნ. აზროვნების განვითარების მაღალ დონესა და მის როლზე ზოგადსაკაცობრიო კულტურის შექმნაში.

მეცნიერების გარკვეული აღორძინება აღინიშნა XVIII ს-ში (ვახტანგ VI, ვახუშტი ბაგრატიონი. ს-ს. ორბელიანი, სწავლულ კაცთა კომისია).

XIX ს-ში თბილისში შეიქმნა კავკასიის მუზეუმი (1852), თბილ. ობსერვატორია (1837) და სხვ. დაარსდა თბილ. ბოტან. ბაღი (1845). ყველა ეს ორგანიზაცია შემდგომ მსხვილ სამეცნ. დაწესებულებად გადაიქცა და დიდხანს შედიოდა საქართვ. მეცნ. აკადემიის შემადგენლობაში.

1907 ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით შეიქმნა საისტორიო და ეთნოგრ. საზ-ბა, რ-შიც გაერთიანდნენ ქართ. ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. თავმჯდომარე იყო ე. თაყაიშვილი. მათ აქტ. საქმიანობა გაშალეს ძველი ქართ. ისტ. ძეგლების გამოვლენის, შესწავლისა და დაცვის მიმართულებით.

თსუ-ის დაარსებამ (1918) ნიადაგი მოამზადა საქართვ. მეცნ. აკადემიის შესაქმნელად. მ. ე. ა., როგორც საქართვ. მეცნიერთა ორგანიზაციული კავშირი, დაფუძნდა 1941 წ. 8 თებერვალს. ქვეყანაში უკვე არსებულმა (მათ., ფსიქოლ., ფიზიოლ. და აღმოსავლეთმცოდნეობ-ის) სამეცნ. სკოლებმა აკადემიის სისტემაში შემდგომი განვითარება პოვა. დაწინაურდა ქართველოლოგიური მიმართულებაც. საქართვ. მ. ე. ა-ის შემადგენლობაში შევიდა საბჭ. კავშირის მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის 9 სამეცნ. დაწესებულება, აგრეთვე საქართვ. სახელმწ. მუზეუმი, გეოლ. და ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლ. ინ-ტები, ფსიქოლ. და ყოფ. ფიზიკის ინ-ტის ლაბორატორიები. გარდა აღნიშნულისა, აკადემიას გადაეცა განათლების სახ. კომისარიატთან არსებული ქართ. ხელოვნების ისტ. სექტორი, ხოლო ფსიქოლ. ლაბორატორია გარდაიქმნა სექტორად. ამრიგად, დაარსებიდანვე აკადემიის სისტემაში შევიდა 14 სამეცნ.-კვლ. დაწესებულება.

მ. ე. ა-ის დამფუძნებელი აკადემიკოსები იყვნენ: გ. ს. *ახვლედიანი*, ი. *ბერიტაშვილი*, კ. *ზავრიევი*, ფ. *ზაიცევი*, ა. *თვალჭრელიძე*, კ. *კეკელიძე*, ნ. *კეცხოველი*, ტ. *კვარაცხელია*, ნ. *მუსხელიშვილი*, დ. *უზნაძე*, ა. *შანიძე*, ა. *ჩიქობავა*, გ. *ჩუბინაშვილი*, გ. *ხაჭაპურიძე*, ს. *ჯანაშია*, ა. *ჯანელიძე*.

აკადემიას 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა (1941-72) პირველი პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი. 1972-77 აკად. პრეზიდენტი იყო ი. *ვეკუა*, 1978-86 – ე. *ხარაძე*, 1986-2004 – ა. *თავხელიძე*. 2005-13 – თ. *გამყრელიძე*, 2013-23 – გ. *კვესიტაძე*, 2023-იდან აკად. პრეზიდენტია *რ. მეტრეველი*.

მ. ე. ა. არის წევრობაზე (აკადემიკოსები, აკად. წ.-კორ-ები, საპატიო აკადემიკოსები და აკად. უცხოელი წევრები) დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდ. პირი. იგი თვითმართვადი სამეცნ. დაწესებულებაა, რ-იც დამოუკიდებლად ამტკიცებს აკად.

წესდებას, განსაზღვრავს თავის სტრუქტურას, წყვეტს აკად. სამეცნ.-საორგანიზაციო, საკადრო, ეკონ. და საერთაშ. თანამშრომლობის საკითხებს.

მ. ე. ა. ხელს უწყობს საქართველოში მეცნიერების განვითარებას და საერთაშ. ასპარეზზე მის წარმოჩენას; წვლილი შეაქვს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნ. კვლევებში, აგრეთვე მეცნიერების განვითარების პროგნოზირებასა და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად სახელმწ. პრიორიტეტების განსაზღვრაში.

თავისი ამოცანების შესასრულებლად აკადემია ეწევა სამეცნ. მიღწევათა და მეცნ. მემკვიდრეობის პოპულარიზაციას; აწყობს სამეცნ. დისკუსიებს, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს; ატარებს საჯარო ლექციებს ზოგადსაგანმან. პროფ. და უმაღლეს საგანმან. დაწესებულებებში; უშვებს ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნ. ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს, ახორციელებს სამეცნ. ლიტ-რის საერთაშ. გაცვლას. აკადემია არის სხვადასხვა საერთაშ. სამეცნ. ორგანიზაციის წევრი; დამყარებული აქვს კავშირი მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან და სამეცნ. ცენტრებთან; ანიჭებს თავისსავე დაარსებულ პრემიებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგებში მნიშვნელოვანი სამეცნ. სამუშაოების წარმოსაჩენად; შექმნილია კომისიები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგში; აკადემიას გააჩნია მეცნ. და კულტურის მოღვაწეთა მდიდარი პირადი არქივები; განიხილავს და აფასებს საქართვ. უმაღლესი საგანმან. დაწესებულებებისა და სამეცნ.-კვლ. ინ-ტების (გარდა ქუთაისის საერთაშ. უნ-ტისა) სამეცნ. საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებსა და დასრულებულ სამეცნ.-კვლ. სამუშაოებს; დარგების მიხედვით ანიჭებს წლის საუკეთესო სამეცნ.-კვლ. დაწესებულების ტიტულს, აჯილდოებს წარჩინებულ მეცნიერებს. საქართვ. კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს აკად. ამოცანებთან დაკავშირებულ სხვა, მ. შ. დამხმარე ეკონ. საქმიანობას.

მ. ე. ა-ის მართვა ხორციელდება არჩევითობის, დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით. აკადემიას მართავს აკადემიის საერთო კრება, პრეზიდიუმი და პრეზიდენტი. საერთო კრების მუშაობაში ხმის უფლებით მონაწილეობენ აკად. ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები) და წ.-კორ-ები, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით — საპატიო აკადემიკოსები, საქართველოში მყოფი აკად. უცხოელი წევრები და სტიპენდიატები.

აკად. პრეზიდიუმი შედგება აკად. პრეზიდენტისაგან, ვიცე-პრეზიდენტისაგან, აკადემიკოს-მდივნისაგან, განყ-ბათა აკადემიკოს-მდივნებისაგან და აკად. წესდებით გათვალისწინებული პრეზიდიუმის სხვა წევრებისაგან.

ამჟამად საქართველოს მ. ე. ა-ში მოღვაწეობს 68 აკადემიკოსი და 26 წ.-კორესპონდენტი. ფუნქციონირებს 9 სამეცნ. განყ-ბა: მათ. და ფიზიკის; დედამიწის შემსწავლელი მეცნ.; გამოყენებითი მექანიკის; მანქანათმშენებლობის; ენერგეტიკისა და მართვის პროცესების; ქიმ. და ქიმ. ტექნოლოგიების; ბიოლ. მეცნ., ფიზიოლ. და მედიცინის; სოფლის მეურნეობის

მეცნ., საზ. მეცნ., ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყ-ბები. მ. ე. ა. არის საქართველოს მთავრობის სამეცნიერო მრჩეველი.

საქართვ. მ. ე. ა-ის სამეცნ. სტრუქტურული ერთეულებია: ქართ. ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნ. რედაქცია, გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკად. გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტი, საქართვ. მ. ე. ა-ის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ახალგაზრდა მეცნ. საბჭო. მ. ე. ა-ის სახელობითი სტიპენდია (10), მიენიჭებათ ახალგაზრდა მეცნიერებს სხვადასხვა დარგში, კონკურსის საფუძველზე.

კანონის თანახმად, აკადემია ახორციელებს სხვადასხვა დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნ. სტრუქტურული ერთეულების სამეცნ. საქმიანობის ექსპერტულ შეფასებას. აკადემიის სამეცნ. ერთეულის ფუნქცია აქვთ სამეცნ. განყ-ბებსა და აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ დარგობრივ კომისიებს, რ-ებიც ქვეყნისათვის არაერთ მნიშვნელოვან სფეროს მოიცავენ, ესენია: ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი საქართვ. ისტ. წყაროების; მიწის ფონდის მართვის მეცნ. უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი; ქრისტ. თეოლოგიისა და რელიგიის ისტ. შემსწავლელი; საქართველოში მედიცინის აქტუალურ პრობლემათა შემსწავლელი; ქიმ., ბიოლ., რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების პრობლემათა შემსწავლელი; ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უწყებათაშორისი; ბუნებრივი კატასტროფების სამეცნ. პრობლემების შემსწავლელი; საქართვ. (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი; საქართვ. მთიანეთის კომპლექსური შესწავლის; საბუნებისმეტყველო მეცნ. და ტექ. ისტორიის პრობლემების საკოორდინაციო და საქართველოში ტრანსპლანტოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიები.

საქართვ. მ. ე. ა. მჭიდროდ თანამშრომლობს საზღვარგარეთის მრავალ აკადემიასა და უნ-ტთან. ესენია: დიდი ბრიტანეთის მეცნ. აკადემია, ათენის უნ-ტი, საფრანგეთის სამეცნ. კვლევის ეროვნ. ცენტრი, პოლონეთის მეცნ. აკადემია, ავსტრიის მეცნ. და ხელოვნ. აკადემია, იუნესკო, ბაქოსა და ერევნის სახელმწ. უნ-ტები, ჩინეთის საზ. მეცნ. აკადემია, თურქეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ისრაელის, ესტონეთის, აზერბ., სომხ., ლატვიის მეცნ. აკადემიები და სხვ. განსაკუთრებული ურთიერთობები დამყარდა ჩინეთის სახ. რესპუბლიკის სამეცნ. წრეებთან. 2015 საუნივერსიტეტო ქალაქ იანტაიში საზეიმოდ გაიხსნა ჩინურ-ქართ. ლაბორატორია ბიოტექნოლ. დარგში.

აკადემიის ძირითადი გამოცემაა ჟურნ. „მოამბე“, რ-იც გამოდის ინგლ. ენაზე და ვრცელდება მთელ მსოფლიოში. მას მინიჭებული აქვს მაღალი რეიტინგის იმპაქტ-ფაქტორის კოეფიციენტი და დიდი პოპულარობით სარგებლობს. მ. ე. ა. აგრეთვე გამოსცემს ჟურნ. „მაცნეს“ (ისტ., არქეოლ., ეთნოლოგიისა და ხელოვნ. ისტ. სერია; ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია; ბიოლ. სერია; ქიმ. სერია).